ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

5 დეკემბერი, შაბათი, 1992 წ.
№ 74 (10731) ● ფასი 3 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
„დინამო" (თბილისი) — „ალაზანი" (გურჯაანი).
გიორგი მამაცაშვილის ფოტო

ვახტანგ ქარსელაძის მემორიალზე

გოგოების ასპარეზობის მერვე ტურში პირველი მარცხი იწვნია ფიდეს ოსტატმა მაია ლომინეიშვილმა (თბილისი) — წააგო თანაქალაქელ ეკა ჯავახიშვილთან, რომლისთვისაც, თავის მხრივ, ეს პირველი გამარჯვება გახლდათ. აღსანიშნავია, რომ მაიას სამი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ ეკამ შეძლო მისი მეფის დაშამათება. ახლა ლომინეიშვილს 7 ქულა აქვს და ქულით უსწრებს თბილისელ ხათუნა კობალაძეს. 5-5 ქულით III-V ადგილებს იყოფენ ქუთაისელი ნათია აფხაიძე, თბილისელები: ლილი ცალუღელაშვილი, თამარ ფაჩულია.

ჭაბუკების შეჯიბრებაში ორი ლიდერია — თბილისელი სერგო მოვსესიანი და ერევნელი ვაგან მირუმიანი — 6,5 ქულა თითოეულს. 12 წლამდე ბიჭებს შორის მსოფლიო ჩემპიონს გიორგი ბახტაძეს, რომელიც ინდოეთის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნებისთანავე ჩაება ამ შეჯიბრებაში, ჯერჯერობით 4,5 ქულა აქვს, იქ კი, შორეულ ინდოეთში, მან 56 მონაწილესთან ბრძოლაში (რომელთა შორის სხვადასხვა ასაკში 6 მსოფლიო ჩემპიონი გამოდიოდა) 14 წლამდე მოზარდებში უმაღლესი ტიტულის მფლობელ ბელარუს იური ტიხონოვთან IV ადგილი გაიყო.

საქართველოსა და სომხეთის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების მეგობრობის გამოხატულება იყო ამ სასწავლებლების მოჭადრაკეთა მატჩები 6 დაფაზე. 4-4 ვაჟი და 2-2 ქალი ორ მატჩში არკვევდნენ ურთიერთობას. ორჯერვე მასპინძლებმა — საქართველოს სტუდენტებმა მიაღწიეს წარმატებას —4:2 და 5:1. თბილისელთაგან 2-2 პარტია მოიგეს ინგა ხურცილავამ, შოთა კუჭუხიძემ და ალექსანდრე ყაშაშვილმა. გადაწყდა: გაისად ანალოგიური მატჩი ამ ორი ინსტიტუტის მოჭადრაკეთა შორის ერევანში ჩატარდეს.

სურათზე: შეხვედრის მომენტი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„ლელოს" პუბლიკაციის კვალდაკვალ

მძლეოსნობის ინტერესები გათვალისწინებულია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან გამართულ მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ითქვა, რომ „დინამოს" სტადიონის სათადარიგო მოედანზე თუ ფეხბურთის ხელოვნური საფარი დაიგება, საქართველოში შეუძლებელი იქნება ტყორცნებში შეჯიბრებების ჩატარება, „დინამოს" სტადიონის კომპლექსი კი ვეღარასდროს უმასპინძლებს მძლეოსანთა საერთაშორისო ასპარეზობებს, რადგან ტყორცნებში და მძლეოსნობის სხვა დისციპლინებში შეჯიბრებები დებულებით ერთი სპორტული ბაზის ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს.

ამ თემას მიეძღვნა „ლელოში" 28 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული რეპორტაჟი ფედერაციის სხდომიდან. ხოლო 2 დეკემბრის ნომერში ვიუწყებოდით, რომ საუბარი ამ თემაზე რესპუბლიკის სპორტკომიტეტში გაგრძელდებოდა.

და აი, 2 დეკემბერს გაიმართა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრებისა და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელების შეხვედრა. საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. ურთიერთგაგების ატმოსფეროში ყველაფერი მალე გაირკვა. მძლეოსანთა ინტერესები დაცული იქნება. ამასთან გადაწყდა სათადარიგო მოედნის რეკონსტრუქციის საკითხი, რათა იგი პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

ინფორმაცია

სუპერსპორტსმენებს იბირებენ არა მხოლოდ უცხოეთის ცნობილ ფეხბურთელთა, ჰოკეისტთა, კალათბურთელთა გუნდები, არამედ მოჭადრაკეთა კლუბებიც: სამი ცნობილი დიდოსტატი გამოვა საფრანგეთის გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც 26-31 მაისს გაიმართება ორსერში. იქ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაიცავს კლუბ „ორსერის" ღირსებას, ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი — „ბელფორისას", ინდოელი ვიშვანათან ანანდი — „ლიონისას". სამივემ უკვე გააფორმა კონტრაქტი ამ კლუბებთან.

ჩემპიონის სამშობლოში

თურქეთში (ქალაქ ამასია) გაიმართა ჰამიდ ქაფლანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ქაფლანი 50-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ფალავანი იყო მძიმე წონაში (ჩვენი სახელოვანი თანამემამულის არსენ მეკოკიშვილის პირდაპირი „მემკვიდრე"), რომელმაც 1956 წელს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიგო, 1957 წელს კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა (ამას გარდა, ორჯერ ფლობდა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის ჯილდოს). ამ ტურნირში მონაწილეობა და წარმატება ჭიდაობის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, როგორიც თურქეთია, პრესტიჟული საქმე გახლავთ და ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, ხალისით მიიღო მიწვევა.

თურქებმა მასპინძლების კვალობაზე ტურნირს საგანგებო დატვირთვა მისცეს: პერსპექტიული ახალგაზრდობის გამოვლენის მიზნით პირველობა მხოლოდ დაბალ წონით კატეგორიებში (65 კილოგრამამდე) გაათამაშეს. ეს, ბუნებრივია, ჩვენთვისაც ხელსაყრელი იყო, მით უმეტეს, რომ 1977-78 წლებში დაბადებულთათვის (თურქეთის ტურნირში კი სწორედ ამ ასაკის მოჭიდავეები იბრძოდნენ) გაისად გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატი ეწყობა და ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვეცა შესაძლებლობა შეგვემოწმებინა ჩვენი შესაძლებლობანი.

შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის გარდა გამოდიოდნენ აზერბაიჯანის, თურქმენეთის უზბეკეთის წარმომადგენლები, თურქეთის ნაკრები, ქალაქ ამასიას სამი გუნდი და სხვადასხვა ადგილობრივი კლუბის მოჭიდავენი. სულ 160-მდე ნორჩი ათლეტი.

ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაისაკუთრა თურქეთის ეროვნული ნაკრების შემდეგ. ცალკეულ წონებში კი ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზი მოვიპოვეთ. 33 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ოთარ იმერლიშვილი (მცხეთა), 65 კგ-ში კი შალვა ბეგაშვილი, ვერცხლის მედალი ხვდა 43 კგ-ში გიორგი იანტბელიძეს, ბრინჯაოსი კი 55 კგ-ში ბადრი ღოღაძეს (სამივე — თბილისი). რესპუბლიკის მოჭიდავეთა გუნდს თურქეთში ახლდა მწვრთნელთა სამეული თამაზ ბენდიანიშვილის, თენგიზ ლამბაშიძისა და გოდერძი ფასურიშვილის შემადგენლობით, თვით ნაკრები კი მთლიანად თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ჭიდაობის სპორტსკოლის (დირექტორი ალეკო გიორგობიანი) წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული.

სურათზე: (მარცხნიდან) **საქართველოს დელეგაციის წევრები— თამაზ ბენდიანიშვილი, თენგიზ ლამბაშიძე, დავით ლეჟავა, თემურ ბენდიანიშვილი, ოთარ იმერლიშვილი, შალვა ბეგაშვილი, გიორგი იანტბელიძე, გოდერძი ფახურიშვილი, ბადრი ღოღაძე, ვაჟა ჩიტიშვილი.**

ა. კოტორაშვილის ფოტო.

SOS!

ჩოგბურთს აგდებით ეკიდებიან

რედაქციაში შვილთან ერთად გვეწვია „დინამოს" კორტებთან არსებული კლუბ „რაშის" მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე, დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის კომისიის თავმჯდომარე, ვიქტორ ავილოვი, რომელიც თავის გოგონას, ვიკას გარდა ავარჯიშებს ნატო კაჰკაჰიშვილსაც.

აი რა გვიამბო მან:

— სხვებთან შედარებაც არ შეიძლება ისეთ პირობებში გვიხდება მუშაობა, დარბაზში შუშები ჩამტვრეულია, ჭერიდან წყალი პირდაპირ კორტებზე ჩამოდის. მოედნის საფარი რამდენიმე ადგილზე ამოწეულია, გათბობა ხომ საოცნებოა. ადრე ჩემი ბავშვის მწვრთნელი იყო ნინო თუხარელი, წელიწადნახევარია ჯგუფი ჩამოართვეს და შვილს ახლა მე ვავარჯიშებ. კლუბისაგან არავითარი ინვენტარი ჩვენ არ მიგვიღია. ბევრმა ვარჯიშს თავი გაანება, რადგან პირობების გაუმჯობესებას არ დაადგა საშველი, ვინც დარჩა, ბევრი უკმაყოფილოა. ჩვენ ასე გვპასუხობენ, „თუ არ მოგწონთ, წადითო".

ახლახან ბურთები მიიღეს, 220 ცალი. როდესაც „დინამოს" მთავარ მწვრთნელს ბურთები მოვთხოვეთ, გვიპასუხა: „გაისად საერთაშორისო ტურნირს ვაწყობთ და გვჭირდებაო". ზოგმა გვითხრა, რომ ის ბურთები კლუბს გადასცეს. სპორტსმენებს საუნა თვალით არ უნახავთ. თუ ზედმეტად დავრჩით დარბაზში ან კორტზე, ფულის გადახდას გვთხოვენ. სადაც საჭიროა და თუ ვინმეს ჩვენზე მეტად უჭირს, ფულის გადახდას არ ვერიდებით. აქ კი რატომ უნდა გადავიხადოთ, რისთვის? ელემენტარული პირობების უქონლობისთვის? თუ გადასახდელია, მეც გადავიხდი, ოღონდ ცოტა პირობები გვქონდეს. ასე გვეუბნებიან: „კორტები და დარბაზი ცარიელი იყოს, ოღონდ თქვენ არ ივარჯიშოთო". ბოლო მწვრთნელთა კრებაზე გვითხრეს: „თუ არ მოგწონთ, არავის ვეჭიროთ, როგორც სხვები წავიდნენ, თქვენც წადითო". ბევრი, როგორც ვთქვი, მართლაც იძულებულია წავიდეს.

რედაქციაში სტუმრობა ყველას გულისტკივილმა გადამაწყვეტინა, ეს საერთო პრობლემაა. თუ წასვლა უნდათ, წავიდნენ ის მწვრთნელები, რომლებიც არ მუშაობენ, და არა ბავშვები. ვიკამ ახლახან საქართველოს პირველობაზე მხოლოდ ერთი დამარცხებით მეხუთე ადგილი დაიკავა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო, როგორც საქართველოს მთავარმა მწვრთნელმა ნიკო ელერდაშვილმა გვითხრა, ეს ბავშვი დასახელებულია ნაკრების კანდიდატად. ალბათ გესმით ჩემი, საჭიროა მეტი ყურადღება დაგვითმონ.

ინფორმაცია

● **სპორტული** საქონლის ამერიკელ მწარმოებელთა ასოციაციის გამოკვლევებით, 10 წლის ასაკში ამ ქვეყნის ყოველი მეორე ბავშვი სპორტში მეცადინეობს (სკოლის გარეთ). 18-წლიანთა შორის ეს [illegible] რიცხვი ორჯერ უფრო მცირეა. აქედან ასოციაციის ექსპერტები ასკვნიან, რომ სპორტი ამერიკაში ბავშვების (ახალგაზრდების) საქმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა...“

„საოცარი და საკვირველია, რომ აქ ერთმა მუჭ ხალხმა, არეულობათა, დაწიოკებათა და უთვალავ თავდასხმათა მიუხედავად, დაიცვა არა მარტო თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, არამედ სარწმუნოება, ლიტერატურა და ენა, და ბედის ესოდენ ცვალებადობისა და უკუღმართობის შემდეგ ცოცხალი დარჩა მაშინ, როდესაც სხვა უძველესი დროის უფრო ძლიერნი სრულიად აღიგავენ დედამიწის ზურგიდან“. — წერდა ამ საუკუნის დასაწყისში გამოჩენილი ბულგარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივან მინჩოვ ვაზოვი საქართველოსა და ქართველების შესახებ.

საქართველოს ისტორია სახელოვან მამულიშვილთა გმირობის ისტორიაა. ყოველი თაობა ცდილობდა წინაპართა მაგალითისთვის მიებაძა, ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ მყარ საფუძველს, რომ ეს შემართება შეენარჩუნებინათ, ამ სულისკვეთებით აღეზარდათ ახალგაზრდობა.

„რომელ ხალხში ნახავთ უკეთესს გამამხნევებელს და რაინდულ შექცევებს, როგორიც ჩვენშია? ბურთი, ჯირითი, ყაბახი, ჭიდაობა, კრივი, მარულა და ბევრი კიდევ სხვა მგვარი ნაციონალური თამაშობანი საკვირვლად ამაღლებენ კაცს და, ვგონებ, ნამეტანი არ იქნება, რომ ვსთქვათ: ამაღლებენ არა მარტო მის ფიზიკურ მხარეს, არამედ ზნეობასაც“. — წერდა „დროება“ 1874 წელს.

ამგვარ ტრადიციებზე აღზრდილი მამულიშვილები გონებრივი გამჭრიახობით, ფიზიკური მომზადებით, ოსტატობით და გულოვნებით არ ჩამოუვარდებოდნენ დიდი სახელმწიფოების ლეგიონთა გაწვრთნილ ტრიუმფატორებს...

„როს ფარსმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად ეწვია რომს, ანტონინუს პიუსი დაესწრო ფარსმანეს, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ იბერიის სამხედრო ვარჯიშებს, გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში შეეწირა მსხვერპლი და უნიალონში და[illegible] მისი ცხენოსანი ქანდაკება“. — გვაუწყებს მემატიანე. ისტორიულ ფაქტს, რომელიც მეორე საუკუნის 30-იან წლებში „საგანგებო ამბავთა“ ნუსხის თავში ჩაუწერიათ რომაელებს.

„გელათის მონასტრის თლილი ქვები, რომლითაც აშენებულია იგი, თავისი სიდიდით აოცებს ადამიანსა. ერთ ქვას, რომელიც კუთხის ქვად არის დადებული, ორი საჟენი სიგრძე აქვს და ერთი საჟენი სიგანე. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ეს ქვა მეფე დავით აღმაშენებელმა თავისი ხელით მიიტანა და კუთხის ქვად დასდოო. არც საკვირველია, რადგან ეს დიდებული მეფე სწორედ მდევის აგებულებისა იყოო, რასაც მოწმობს იმისი ვეებერთელა ბეჭედი თითისა, დაცული აქამომდე ამ ეკლესიაში. ეს ბეჭედი იმოდენაა, რომ ერთად შეკუმშულს ხუთს თითს ჩვეულებრივის კაცისას ხალვათად წამოეცმის...“ (იაკობ გოგებაშვილი).

ერეკლეს ასამდე ომი გადაუხდია და მრავალჯერ გამარჯვებული გამოსულა...

„ერეკლეს გმირობა აოცებდა არა მარტო ქართველებსა, არამედ განცვიფრებაში მოჰყავდა თვით ევროპელი საუკეთესო მეომარნი. ამ დროში ევროპის პირველი სარდალი იყო პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი, რომელიც გამარჯვებებით ებრძოდა თითქმის მთელს ევროპასა. ეს სამხედრო გენიოსიც კი ისეთს აღტაცებაში იყო ერეკლეს ვაჟკაცობით, რომ საქვეყნოდ ამბობდა: მე ვიმარჯვებ ევროპაში, ხოლო აზიაში იმარჯვებს უძლეველი მეფე ქართველთა ერეკლეო“.

ამიტომაც იყო, რომ თელავში, მისსავე გახსნილ სემინარიაში სტუმრობისას 1784 წელს, განსაწვლულ რექტორს სემინარიისა გაიოზს, შემდეგი სიტყვებით მიუმართავს საამაყო მეფისთვის: „ბერძნები ამაყობენ ალექსანდრე მაკედონელით, რომაელნი — იულიოს ცეზარით, რუსნი — პეტრე დიდით, ჩვენც კადნიერად შეგვიძლიან ვიამპარტავნოთ ჩვენი სასიქადულო მეფით, რომელიც ჭეშმარიტად შემკობილია ზემოხსენებულთა გმირთა ღირსებით...“

ამ დიდებულ გმირთა ისტორიულ ფონზე დიდი ილია, მისეული აზრჩაღრმავებითა და წინგანჭვრეტით გვმოძღვრავს და გვაფრთხილებს: „ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი ისეთანა გვაქვს, რომ რა გინდა, სული და გული, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი?..“

ჩვენს დროში მრავალი სახელოვანი სპორტსმენი ღირსეულად იღვწოდა ჩვენსა თუ საერთაშორისო ასპარეზზე და აღაფრთოვანებდა მაყურებელს, ახალგაზრდები ბაძავდნენ მათ, ხოლო სიძნელეთა გადალახვის დროს სულიერ სიმტკიცეს მატებდნენ მოყვასს...

ამ სპორტსმენებს დღეს იქნებ აღარ უხდებათ გამოსვლა სარეკორდო ბილიკებსა და სარბიელზე, მათი სახელი ქარიშხალივით აღარ ტრიალებს მაყურებლებით სავსე ტრიბუნების თავზე, მაგრამ შემართება და ღვაწლი არ დავიწყებიათ მათ თაყვანისმცემლებს, მათი სახეები გულის ხსოვნაში აღუბეჭდავთ და ამ სახეთა წამიერი გახსენებაც ღირსებასა და სიამაყეს მატებს მათ სულს.

მაგრამ თაობები იცვლებიან და მათ სმენას ახალ კერპთა სახელები იპყრობენ და თუ ახლომახლო ვეღარ აღმოაჩენენ ღირსეულ ხატს ეროვნული გმირისა, ისინი სხვაგან, უცხო გარემოში დაუწყებენ ძებნას მას.

ისტორიას იმ მამულიშვილთა სახელები შემოუნახავს, რომლებსაც არა მარტო უშრომიათ და ფიზიკური ენერგიის ხარჯზე მოუხვეჭავთ სახელი და დიდება, არამედ ეს სახელი საზოგადოებრივი ქველმოქმედებითა და სულიერი მოღვაწეობით გაუხსივოსნებიათ, მამულისა და ერის სამსახურისთვის სანთლად დაუნთიათ, უეზოობის ყამირი თავიანთი სულის გამონაშუქით გაუკვალავთ და თანამდევნი გაუტარებიათ.

ისინი ძალზე ბევრნი გვყვანან და მათ ახალ ასპარეზზე ელიან: ახალი ცხოვრების ამაღლებული სულიერი განწყობილების შექმნისა და ქვეყნად ღირსების დამკვიდრების ასპარეზზე.

სიმონ ჯაფარიძე

სნოუბორდი

ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობის უფლებით...

ოთხიოდე წლის უკან კავკასიის მთის ფერდობზე სპორტული სასტუმრო „გუდაურის“ მშენებლობა დასრულდა და საქართველოში ზამთრის სპორტის ახალი ხანა დაიწყო. გუდაური, მანამდე უცნობი ქართველი სპორტსმენებისათვისაც, ავსტრიული ფირმა აბვ-ს თანადგომით მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი. მალე პირველი ტურისტებიც გამოჩნდნენ.

მასპინძლები განცვიფრებაში მოჰყავდა უცხოელი ტურისტების უჩვეულო საცურაო დაფებს, რომლებიც არაფრით ჰგავდა თხილამურებს. სნოუბორდისადმი ინტერესი დღითიდღე იზრდებოდა. ასე გახდა გუდაური საქართველოში სნოუბორდის ნამდვილი მექა.

სპორტის ამ სახეობის პიონერები სერფინგის აღიარებული ოსტატი ჯეიფ ბარტონ კარპენტერი და მსოფლიო ჩემპიონი სქეითბორდში ტომ სიმსი იყვნენ, უფრო ადრე 60-იან წლებში, ამერიკელმა შერვინ პოპერმა სცადა შეერწყა ტალღებზე ცურვის მძაფრი განცდა თოვლყინულზე სრბოლის სიამოვნებასთან. მან შექმნა სნოუბორდის წინამორბედი, რომელსაც „სნურფერი“ უწოდა. ეს იყო ტალღებზე საცურაო პლასტიკური დაფა, რომელიც თოვლისთვის იყო განკუთვნილი. სნურფერმა ზამთრის სპორტში რევოლუცია ვერ მოახდინა, თუმცა პოპერმა მაინც შეძლო ერთ წელიწადში მილიონი სნურფერი გაეყიდა.

ნამდვილი წარმატება ოცი წლის შემდეგ მოვიდა, როცა კალიფორნიელმა ჯეიფ კარპენტერმა პირველი ნამდვილი სნოუბორდი შექმნა და მას „ბექჰილი“ უწოდა. შემდეგ, კარპენტერისაგან დამოუკიდებლად, მუშაობა ტომ სიმსმაც დაიწყო. კონკურენციამ შესანიშნავი სამსახური გაუწია სპორტის ამ სახეობას — მალე სრულყოფილი სნოუბორდი „დაიბადა“ და ზამთრის სპორტში ნამდვილი რევოლუციაც მოხდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. 1990 წელს გუდაურს სნოუბორდის აღიარებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი გრეი კელი ესტუმრა. მისი მონაწილეობით იქ სარეკლამო ფილმიც გადაიღეს. ამან კიდევ უფრო გაზარდა ჩვენში სნოუბორდისადმი ინტერესი და ინტენსიურ ვარჯიშს წარმატებებიც მოჰყვა: ზურაბ (მამუკა) ბურდული შვეიცარიის სასწავლო სნოუბორდისტთა სკოლაშიც მიიწვიეს. ორკვირიანი კურსის გავლის შემდეგ იგი პირველი ქართველი სნოუბორდის ინსტრუქტორი გახდა, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მუშაობის უფლებით. მალე მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა საქართველოს სნოუბორდისტთა ასოციაცია, რომლის ინიციატივით გუდაურის სათხილამურო ტრასებზე წლეულს, 11 აპრილს, საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატი გაიმართა. ასპარეზობაში ქართველებთან ერთად ავსტრიელი, შვეიცარიელი, გერმანელი და უკრაინელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ახლა ქართველი სნოუბორდისტები ემზადებიან ახალი სპორტული სეზონისათვის. გუდაურში იმუშავებს სასრიალო დაფების გამქირავებელი პუნქტი. დაინტერესებულ პირებს იქვე შეეძლებათ სპეციალური ლიტერატურისა და ჟურნალების შეძენა.

დავით კლდიაშვილი

შემცვლელი მოდის

იმის გამო, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში კახი კახიაშვილი მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობისთვის სპეციალური გეგმით ემზადებოდა, თბილისში გამართულ რესპუბლიკური თასის გათამაშებაში (საქართველოში ძალოსნობის ფუძემდებლის გ. ჩიქვაიძის ზსოვნის პრიზზე) არ უცდია ძალა. ტრავმის გამო ტურნირი გამოტოვა ხვიჩა მაისურაძემაც.

სასპარეზოდ შეიკრიბნენ ბათუმის, ქუთაისის, საჩხერის, თელავის, ზუგდიდის, ახალციხის, ამბროლაურის, წყალტუბოს და სხვა ქალაქებისა თუ რაიონების სპორტსმენები. და მაინც, ზოგიერთ წონით კატეგორიაში ფიცარნაგზე თითო-ოროლა მონაწილე გამოვიდა: მძიმე და ზემძიმე წონებში მეტოქენი არ ჰყავდათ წყალტუბოელ ლევან ბერაძესა და საჩხერელ კობა ტალახაძეს. 52 და 100 კილოგრამამდე წონებში ორ-ორი ძალოსანი არკვევდა ურთიერთობას.

რესპუბლიკურ ფედერაციას ცდა არ დაუკლია, მემორიალი ორგანიზებულად რომ ჩატარებულიყო, ძალ-ღონე არც სპორტსმენებს დაუზოგავთ და, თუ რესპუბლიკური რეკორდები არ გაუმჯობესებულა, ეს მხოლოდ ადგილებზე წვრთნის ნორმალური პირობების არქონით აიხსნება. სამაგიეროდ, გამოვლინდნენ იმედის მომცემი ახალგაზრდები. უკვე ნახსენებ ბერაძის გარდა, ყურადღება მიიქციეს თელაველმა უჩა ყურაშიძემ და ქუთაისელმა გიორგი გიორბელიძემ, რომელთაც II საპრიზო ადგილები დაიკავეს (სამივე 17-17 წლისაა). გიორბელიძემ, მაგალითად, ორჭიდში მხოლოდ 5 კილოგრამი „დაუთმო“ გამარჯვებულ თანაქალაქელ ლომთაძეს. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რამაზ გურგენიძემ დაგვაიმედა, რომ ნაკრები მათგან საიმედო შევსებას ელის.

გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები.

52 კგ. არმენ თათევოსიანი (თბილისი) — 175 კგ; **56.** გაიოზ გაფრინდაშვილი (საჩხერე) — 170. **60.** ალექსანდრე კაზაჩენკო (თბილისი) — 212,5; **67,5.** მალხაზ ლომთაძე (ქუთაისი) — 240; **75.** გიორგი სობოლევი (საჩხერე) — 257,5; **82,5.** თემურ მოწონელიძე (თბილისი) — 307,5; **90.** მუხრან გოგია (ზუგდიდი) — 320; **100.** ამბარცუმ ტოროსიანი (ახალციხე) — 337,5; **110 კგ-მდე.** ლევან ბერაძე (წყალტუბო) — 270; **110-ს ზევით.** კობა ტალახაძე (საჩხერე) — 330.

გუნდური: 1. თბილისი, 2. საჩხერე, 3. ქუთაისი.

მკითხველი — გაზეთი

გთხოვთ მიპასუხოთ, ფიქსირდება თუ არა რეკორდები ცხენოსნობაში სიმაღლეზე ხტომაში.

ვახუშტი ჭიჭინაძე,
თბილისი.

დიახ, ასეთი რეკორდები ნამდვილად ფიქსირდება, მაგრამ ნუ გადაგვირდებათ, იშვიათად ხდება სპორტის ამ სახეობაში გატაცება რეკორდებით. ეტყობა ცხენოსნობას, იგივე კონკურისტთა ასპარეზობას, სულ სხვა ხიბლი აქვს. მიუხედავად ამისა, მაინც აღნუსხულია მსოფლიო მიღწევა. მაგალითად 1949 წელს იგი 2,5 მეტრსაც მიუახლოვდა და 249 სმ უდრიდა. რეკორდი ჩილელ მხედარს ეკუთვნოდა. რაც შეეხება საქართველოს რეკორდს, იგი დელისის იპოდრომზე დაამყარა ცხენ ზუიდით ვალერიან ოძელაშვილმა. მისი შედეგია 187 სმ.

იმასაც გეტყვით, რომ რეკორდები მყარდება, აგრეთვე, სიგრძეზე და სიგრძე-სიმაღლეზე ხტომებშიც.

ინფორმაცია

● **ჩვენ** არაერთხელ ვწერდით იმის შესახებ, რომ მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა თავის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ბერლინში. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ბუბკამ დაარღვია კონტრაქტის პირობები, გააუქმა იგი და საცხოვრებლად დაბრუნდა დონეცკში. შეკითხვაზე, რამ გამოიწვია რეკორდსმენის ასეთი გადაწყვეტილება, სპორტსმენმა უპასუხა, რომ ბერლინში ვერ პოვა სიმშვიდე და ამიტომაც შინ დაბრუნება გადაწყვიტა. დაგვეთანხმებით, ალბათ, ცოტა უცნაური მიზეზია.

ანცი გოგონა

დიდი სპორტის კარიბჭესთან

ეს სკოლა 6 წლის წინ შეიქმნა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მოზარდთა ექსპერიმენტულ სკოლას იმ თავითვე დიდი სპორტისთვის ათლეტების აღზრდა კი არ დაუსახავს მიზნად, არამედ ბავშვთა სწორი ფიზიკური განვითარების გზაზე დაყენება — მათთვის რბენის, ხტომის ჩვევების სწავლება და მერე გზის დალოცვა იმ სახეობებისკენ, რომლის ნიჭი და მისწრაფება აღმოაჩნდებოდათ პატარებს. უკვე სამი გამოშვების 750-მა ბავშვმა იზეიმა კურსის დამთავრება. ვინ ფეხბურთს მიაშურა, ვინ ჩოგბურთს, ვინ მძლეოსნობის ერთგული დარჩა.

„სპორტის დედოფალს“ ჩვენში ძალიან უჭირს და თუნდაც ერთეული ტალანტების აღმოჩენაც დიდი საქმეა. ამ სკოლაში კი, დიდი მძლეოსნობის კარიბჭესთან ათობით მოზარდი დგას. ერთი მათგანია რუსუდან სუთიაშვილი — თბილისის 171-ე სკოლის მერვეკლასელი, 13 წლის გოგო, რომელსაც ანდრო ბედუკაძე ავარჯიშებს.

მაშინ მეორე კლასში იყო რუსუდანი, სპორტსკოლაში ჩასარიცხთა კონკურსში რომ იმარჯვა.

— ქაჯანასავით მოუსვენარი ვიყავი, რბენა მიყვარდა, ანცობა, ხტუნვა... ეს სკოლა ნამდვილად საჩემოა. — გვიამბობს იგი. — მწყინდა, თუ ვინმე მიმასწრებდა ფინიშთან და ვცდილობდი უკეთ მერბინა...

— შეუპოვრობით გამოირჩევა, მეცადინეობას არავითარ შემთხვევაში არ გააცდენს, სიცხიანიც კი. მშობლებს ერთი-ორჯერ კიდევაც ვუსაყვედურეთ: ავადმყოფს როგორ დართეთ ვარჯიშზე მოსვლის ნებაო და გამოსაშუშებლად შინ გაგვიბრუნებია, — იხსენებს ბატონი ანდრო — მუყაითობა დაუფასდა: სპრინტერის შესანიშნავი თვისებები გამოავლინა. განსაკუთრებით წელს დაწინაურდა: რამდენჯერმე გადაამეტა პირველი თანრიგის ნორმატივს 100 მეტრზე რბენაში...

— მასში მაია აზარაშვილის შემცვლელს ვხედავ, — საუბარში ჩაერია სპორტსკოლის დირექტორი, რესპუბლიკის ნაკრების რამდენიმე წევრის აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნოე ლობჟანიძე, — თანდათან იხვეწება მისი ოსტატობა.

— მიზანი? — ვკითხე რუსუდანს, რომელმაც ინსტიტუტის სტადიონზე ის-ის იყო ვარჯიში დაასრულა.

— ჯერ გალინა კონონენკოს გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი — 12,0 წამი მინდა გავაუმჯობესო და დიდ სპორტში შევაბიჯო, მერე კი...

— სწავლა?

— სწავლა პირველ რიგში! სპორტი სწავლაში ხელს არ მიშლის! ფრიადოსანი არ ვარ, მაგრამ მაინც ბევრს ვჯობივარ. — იღიმება და ისე ცქმუტავს, თითქოს გარბენისთვის კუნთებს იხურებსო.

— რა გიტაცებს?

— სირბილი, მხოლოდ სირბილი...

— კიდევ, კიდევ?

— ჩოგბურთი, კალათბურთი...

რუსუდანმა უმცროსი ძმაც აიყოლია — დათოც ამავე სპორტსკოლაში სწავლობს. ამ გოგონას გარდა აქ კიდევ არიან ნიჭიერი მძლეოსნები: ირინა ძებისაშვილი, ია ელიაშვილი, იამზე ტოგონიძე, სხვები, რომელთა სახელებსაც, ალბათ, მალე შეიტყობენ მძლეოსნობის მოყვარულები. გვიმრავლოს!

თ. იედოშვილი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

თამაზი ჯავში

პირველი წრის ბოლოსწინა, მე-15 ტურს გარკვეული გადაადგილებანი უნდა გამოეწვია დაწინაურებულთა განლაგებაში.

ყურადღების ცენტრში იყო მატჩები თბილისსა და რუსთავში. „დინამო“, გათამაშების ლიდერი, მასპინძლობდა მეორე ადგილის პრეტენდენტს, გურჯაანის „ალაზანს“. სტუმრები, წარმატების შემთხვევაში, მომავალი წლის გაზაფხულამდე ინარჩუნებდნენ მეორე ადგილს, მასპინძლებს კი, ბოლო რამდენიმე ტურია, განაღდებული აქვთ პირველი ადგილი და გამარჯვებით „მხოლოდ“ საგრძნობლად გაიუმჯობესებდნენ სატურნირო მდგომარეობას, მატჩი, მოლოდინისამებრ, საინტერესო გამოდგა. მეტოქეებმა პირველივე წუთებიდან შემტევი ფეხბურთი შესთავაზეს მაყურებელს. 31-ე წუთზე მიხეილ ყაველაშვილის მიერ ეფექტურად გატანილ გოლს მისმა თანაგუნდელებმა მეორე ტაიმში კიდევ სამი დაუმატეს: ჯერ აჩიკო არველაძემ (55), შემდეგ კი გელა ინალიშვილმა ორჯერ (58 და 63 პენალტით). 67-ე წუთზე ოთარ კორღალიძემ პრესტიჟის გოლის გატანაც შეძლო.

რუსთავში, „გორდამაც“ ასევე სამეულში მოხვედრის პრეტენზიების მქონე თბილისის „შევარდენი-1906“ მიიღო, გაიმარჯვა კიდეც ანგარიშით 2:1 (გ. კილასონია, 25, პენალტით, ა. კაპანაძე, 73; გ. ხურცილავა, 45) და მესამე ადგილიც შეინარჩუნა, თუმცა „გორდამ“ უკვე დაასრულა ჩემპიონატის პირველი წრე. მეორე ადგილზე გასვლის კარგი შესაძლებლობა აქვს „კოლხეთი-1913“-ს — ფოთელებს ერთი მატჩი აქვთ თადარიგში და მოგების შემთხვევაში გაუსწრებენ „ალაზანსაც“ და „გორდასაც“, ამ ტურში კი მათ ფოთში „მრეტებს“ მოუგეს — 2:0.

ტურის სხვა მატჩები: თელავის „კახეთმა“ დაამარცხა ხაშურის „ივერია“ — 5:1, დიდი ანგარიში აღინიშნა ბათუმშიც, სადაც მასპინძლებმა სძლიეს გორის „დილას“ — 4:0. ზესტაფონის „მარგვეთი“ — ქუთაისის „ტორპედო“ —2:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „სამტრედია“ — 1:1.

ზუგდიდში გაიმართა VII ტურის გამოტოვებული მატჩი: „ოდიშმა“ პირველი მოგება ჩაიწერა მიმდინარე ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში — დაამარცხა სოხუმის „ცხუმი“ — 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 დეკემბრისთვის.

„დინამო“ (თბილისი)	14	12	1	1	33—8	37
„ალაზანი“ (გურჯაანი)	16	10	2	4	32—23	32
„გორდა“ (რუსთავი)	16	9	4	3	46—30	31
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	15	9	3	3	29—16	30
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	15	9	2	4	28—24	29
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	15	8	2	5	30—19	26
„სამგურალი“ (წყალტუბო)	15	7	4	4	33—24	25
„ტორპედო“ (ქუთაისი)	15	7	2	6	25—19	23
„ბათუმი“	14	6	2	6	23—21	20
„გურია“ (ლანჩხუთი)	15	6	2	7	18—26	20
„დილა“ (გორი)	15	6	1	8	20—27	19
„კახეთი“ (თელავი)	14	5	2	7	20—27	17
„ივერია“ (ხაშური)	15	5	1	9	18—31	16
„სამტრედია“	15	4	3	8	15—23	15
„მრეტები“ (თბილისი)	13	4	1	8	18—28	13
„ცხუმი“ (სოხუმი)	16	1	1	14	25—46	4
„ოდიში“ (ზუგდიდი)	14	1	1	12	16—37	4

მსოფლიო ფეხბურთის ამბები

მსოფლიო ჩემპიონატი

გაიმართა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ევროპის ზონის IV ჯგუფში. რუმინელებმა სტუმრად ანგარიშით 2:0 დაამარცხეს კვიპროსის გუნდი.

გათამაშების ცხრილი:

ბელგია	5	5	0	0	9—1	10
რუმინეთი	5	3	1	1	15—3	7
უელსი	4	2	0	2	8—7	4
ჩეხეთ-სლოვ.	3	1	1	1	6—3	3
კვიპროსი	4	1	0	3	2—4	2
ფარერის კუნძ.	5	0	0	5	0—22	0

VI **ჯგუფი**. თელ-ავივში გაიმართა შესარჩევი შეხვედრა ისრაელისა და ბულგარეთის გუნდებს შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ბულგარელებმა.

შვეცია	3	3	0	0	6—1	6
ბულგარეთი	4	3	0	1	8—4	6
საფრანგეთი	3	2	0	1	4—3	4
ავსტრია	2	1	0	1	5—4	2
ფინეთი	3	0	0	3	1—6	0
ისრაელი	3	0	0	3	5—11	0

• • •

ახალი ფორმულით

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი 1996 წლიდან გაიმართება ახლებური წესით. წინასწარ ჩატარებული შესარჩევი შეხვედრების შემდეგ ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს 16 გუნდი. ფინალის მონაწილენი 2 ქვეჯგუფად დაიყოფიან, ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასულნი ბრძოლას განაგრძობენ ნახევარფინალში.

ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, გაიმართება ინგლისში, ამიტომაც ინგლისელები მასპინძლების კვალობაზე გადამწყვეტ ეტაპზე ავტომატურად დაიშვებიან. ასეთივე უფლება მიეცათ ევროპის ახლანდელ ჩემპიონებს დანიელ ფეხბურთელებს.

ისევ ბრაზილიელები

ჰონკონგში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი მინიფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები, ბრაზილიელებმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს — 4:1 და მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მინიფეხბურთში.

მესამე ადგილისთვის ესპანელებმა სძლიეს ირანელებს — 9:6.

ჩემპიონატები. ლიდერები...

ესპანეთი. 12 ტურის შემდეგ ქვეყნის ჩემპიონატში პირველ ადგილზე იმყოფება „ბარსელონა“, რომელმაც განვლილ ტურში თავის მინდორზე ანგარიშით 5:0 დაამარცხა „ესპანიოლი“. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩებიან მადრიდის „რეალი“ (დაამარცხა „ოვიედო“ — 3:2) და „ატლეტიკო“ (დაამარცხა „სევილია“ 3:1).

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია სტოიჩკოვი („ბარსელონა“) — 13 ბურთი.

იტალია. „მილანისა“ და „იუვენტუსის“ მეტად პრინციპულ შეხვედრაში გაიმარჯვეს მილანელებმა — 1:0, რომლებიც ლიდერობენ 18 ქულით. მეორე ადგილზეა „ინტერი“, მან ანგარიშით 2:1 დაამარცხა „ბრეშია“. აღსანიშნავია „ნაპოლის“ გამარჯვება „ფიორენტინასთან“ — 4:1 და „ჯენოასი“ — „ტორინოსთან“ 2:1.

ბომბარდირთა დავაში უწინდებურად ლიდერობს მარკო ვან ბასტენი („მილანი“), რომელმაც 12 ბურთი გაიტანა.

დაუვიწყარი სახელები

მას თავისი ადგილი ჰქონდა

მათ შორის „უხუცესი“ — სპორტის დამსახურებული ოსტატი ავთანდილ ღოღობერიძე მეჩვიდმეტე წელია იცავს თბილისის „დინამოს“ ღირსებას. იგი კვლავინდებურად კოლექტივის ლიდერი და თავკაცია. ვინც კი თვალს ადევნებს მას მინდორზე, არც კი სჯერა, რომ ეს შესანიშნავი სპორტსმენი ოცდათვრამეტი წლისაა. შრომისმოყვარეობით ვეტერანი საუკეთესო მაგალითია ახალგაზრდობისთვის — მისგან სწავლობენ, მას უსწორდებიან“.

„ფუტბოლი“, 1960 წელი.

ომამდელი „დინამოს“ სწორუპოვარი თამაშის წილვით განებივრებული გულშემატკივარი ძალზე მომთხოვნი იყო და ერთობ კრიტიკულად აფასებდა გუნდში ახალი ფეხბურთელის გამოჩენას. და თუ, ღვთის მადლით, ახალბედა გუნდს მოერგებოდა, მას მაინც კარგა ხანს გაჰყვებოდა „შემცვლელის“ დაღი. გამონაკლისი გახლდათ მხოლოდ ავთანდილ ღოღობერიძე, ბასას რომ ეძახდნენ სიყვარულით, რომელმაც თავისი ელვარე ნიჭის წყალობით იმთავითვე დაიმკვიდრა გუნდში ღირსეული ადგილი. ვინ იცის ის ბედნიერი შემთხვევა რომ არა, ქართულ ფეხბურთს ძალზე ბევრი დააკლდებოდა.

ეს „ბედნიერი შემთხვევა“ ომის დროს მოხდა, კერძოდ, 1943 წელს. „ზევიდან“ ბრძანეს, რომ თბილისის „დინამოს“ საქველმოქმედო მატჩი უნდა გაემართა სოხუმის ჰოსპიტლებში სამკურნალოდ მყოფი მეომრებისთვის. სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა ადგილობრივი ნაკრები, ამ გუნდში კი ისე გამოირჩეოდა ტანხმელი შუამარბი, რომ „დინამოს“ ხელმძღვანელობამ იგი იქვე უყოყმანოდ მიიწვია თავის რიგებში...

ბასას თამაში გვანცვიფრებდა თავისი გრაციოზულობით, მოძრაობის პლასტიკურობით, ტემპერამენტით, და სიმსუბუქით, რაშიც ნათლად გამოსჭვივოდა ქართველი კაცის ეროვნული ხასიათი და ნიჭიერება. ამიტომაც იყო ღოღობერიძის აღიარება საყოველთაო, ამიტომაც მიაჩნდათ და მიაჩნიათ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ, მის მშვენებად. და კიდევ: თავისი თამაშით იგი ამტკიცებდა, რომ ფეხბურთში უმაღლესი კლასის უტყუარი ნიშნებია სილამაზე და ჰარმონია. ამიტომაც მისი მოქმედება მინდორზე სულაც არ გახლდათ ოდენ წინასწარ განსაზღვრული, „კარაზოში გამოყვანილი“ რაიმე სტრატეგიული გეგმა-სქემის განხორციელება — მისი თამაში უფრო ლამაზ ნახატს, ხატვას ჰგავდა. აბა, გაიხსენეთ, რა ვირტუოზულად ფლობდა იგი ბურთს. მაყურებელიც, პირველ ყოვლისა, იმიტომ ესწრაფოდა მისი თამაშის ხილვას, რომ ენახა როგორი სიყვარულით ეპყრობოდა ბურთს, ბურთიც, რა თქმა უნდა, „ვერ ელეოდა“ მას. ფეხბურთელი უტყუარად გრძნობდა თამაშის ყველა ნიუანსს, კარგად უგებდა პარტნიორებს, უშურველად იხარჯებოდა სარბიელზე გამარჯვების მისაღწევად, რასაც თან ახლდა განუმეორებელი ხიბლი და ლაზათი.

ქართულ ფეხბურთში ბასა ღოღობერიძის ღვაწლი იმითაც არის დასაფასებელი, რომ ათამდე წლის განმავლობაში ღირსეულად ატარა გუნდის კაპიტნის სამკლაური, რომელიც მან „დიდი ბორიასგან“ ჩაიბარა და მისთვის ეს გზა საკმაოდ ნარ-ეკლიანი გამოდგა. გუნდი, თაობათა ცვლის გამო, თითქმის კარგავდა იმ სასახელო ტრადიციებს, რამაც შორს გაუთქვა მას სახელი. „დინამოს“ ისეთი კრიტიკული მომენტიც დაუდგა, ლამის გარდუვალიც კი იყო უძლიერესთა ლიგის დატოვება, მაგრამ იმ მშფოთვარე დღეებში მტკიცედ ეპყრა ხელთ კაპიტნის საჭე ღოღობერიძეს და მისი წყალობით გუნდს გადამწყვეტ შეხვედრებში გაჰქონდა გადამწყვეტი გოლები, რამაც ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა თბილისელებს. დიახ, იგი არ შედრკა, ყველაფერი იღონა, რათა აღორძინებული „დინამო“ ეხილა. და ამას მოესწრო კიდეც, როცა 1959 წელს წინა სეზონის ერთ-ერთი აუტსაიდერი (თბილისელები IX ადგილზე გავიდნენ) ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა. სწორედ „ნიკოლაევიჩი“ (ასე ეძახდნენ ახალგაზრდები, რადგან გუნდში მისი თანატოლი აღარავინ იყო) წაუძღვა მ. მესხს, შ. იამანიძეს, ვ. ბარქაიას, ს. კოტრიკაძეს და მათი თაობის სხვა ფეხბურთელებს ცვარცხლბეკის მესამე საფეხურისკენ. ამით 38 წლის ბასამ თავი ვალმოხდილად ჩათვალა და გუნდიდან წასვლის განცხადება დაწერა. მაგრამ ახალგაზრდა დინამოელთა დაჟინებული მოთხოვნით განცხადება უკან წაიღებინეს და ღოღობერიძე კვლავ ძველი რუდუნებით შეუდგა მომავალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადებას, რაზედაც ამ წერილის შესავალიც მეტყველებს.

მაინც რით იყო ბასას ყოფნა თბილისის „დინამოში“ ასე საჭირო? როცა ამბობდნენ, ღოღობერიძემ ზურგით ზიდა მთელი გუნდიო, აქ იგულისხმებოდა ის, რომ მინდორზე გუნდის მოქმედება სწორედ ამ მაღალი კლასის ფეხბურთელის მობილურ თამაშზე იყო დამოკიდებული. მისი თავდაუზოგაობა ახალგაზრდებისთვის სამაგალითოც იყო და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასაც ემსახურებოდა. დიახ, სწორედ ასეთ მოთამაშეებზეა დამოკიდებული, რამდენად სწორედ წყვეტს გუნდი უმთავრეს ტაქტიკურ ამოცანებს თავდასხმაშიც და დაცვაშიც. ყოველივე ამას შესანიშნავად ართმევდა თავს ტყავის ბურთის ეს უბადლო ოსტატი. ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი თავისი სპორტული კარიერის ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც მიიწვიეს და თავისი იშვიათი ნიჭით კიდევ ერთხელ მოხიბლა მაყურებელი, როცა მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარებულ საერთაშორისო მატჩში გოლიც გაიტანა...

1960 წელი მისთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, „გედის სიმღერა“ გამოდგა, და მაინც, მის თამაშს ზადი არ გაჩენია, გუნდმა მისი ხელშეწყობით ბრწყინვალედ წარმართა საკავშირო თასის გათამაშების შეხვედრები და თოთხმეტწლიანი „შესვენების“ შემდეგ კვლავ გავიდა ფინალში...

ავთანდილ ღოღობერიძემ თბილისის „დინამოში“ ითამაშა საკავშირო ჩემპიონატების და თასის გათამაშების 341 მატჩი და 134 ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში. ყველაზე უხვგოლიანი მისთვის იყო 1960 წლის სეზონი — ამ წელს 35 თამაშში 25-ჯერ აიძულა მეტოქეები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

წელს ტყავის ბურთის დიდოსტატს ბასა ღოღობერიძეს 70 წელი შეუსრულდებოდა. ეს გახსენებაც ამ თარიღს ეძღვნება.

უშანგ ჭიჭინაძე

* * *

საფრანგეთი. ქვეყნის ჩემპიონატის მე-16 ტურში ლიდერმა „ნანტმა“ ფრედ ითამაშა „სტრასბურგთან“ — 2:2 და 23 ქულა მოაგროვა. „ნანტის“ მეტოქემ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „პარი სენ-ჟერმენმა“ სტუმრად წააგო „მონაკოსთან“ —1:3 და მეტოქეს ერთი ქულით ჩამორჩება. აღსანიშნავია „მარსელის“ გამარჯვება „კაენთან“ — 2:1 და „სენტ-ეტიენისა“ — „მონპელიესთან“ — 1:0.

უეფას ახალი წევრები

თურქეთში, ქალაქ სტამბოლში, გაიმართა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. აქ უეფას დროებითი წევრის სტატუსი მიანიჭეს ბელარუსისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციებს. ახლა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი აერთიანებს 44 წევრს. ვარაუდობენ, რომ ბელარუსისა და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციებს უეფას სრულუფლებიან წევრებად მიიღებენ ამ ორგანიზაციის საგანგებო კონგრესზე, რომელიც 1993 წლის ივნისში გაიმართება.

ამავე დროს, უეფამ აზერბაიჯანისა და მოლდოვას ფეხბურთის ფედერაციებს მიაკუთვნა ასოცირებულ წევრთა სტატუსი.

„ტოიოტას“ თასზე

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ესპანეთის საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა“ და სამხრეთ ამერიკის „ლიბერტადორესის“ თასის მფლობელი ბრაზილიის „სან-პაულუ“ 13 დეკემბერს ტოკიოში შეხვდებიან ერთმანეთს „ტოიოტას თასისთვის“. ამის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადეს მატჩის ორგანიზატორებმა. ამ პრიზს უწინ საკონტინენტთაშორისო თასი ერქვა, მის დასაუფლებლად ერთმანეთს ხვდებიან ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო საკლუბო გუნდები.

საკონტინენტთაშორისო თასი პირველად 1960 წელს გათამაშდა. მას შემდეგ იგი 17-ჯერ მოიპოვეს სამხრეთ ამერიკის კლუბებმა და 13-ჯერ — ევროპელებმა. 1975 და 1978 წლებში პრიზი არ გათამაშებულა.

როგორც საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, ამ მატჩის ტელეტრანსლაცია მოეწყობა მსოფლიოს 100 ქვეყანაში.

სპორტული დეკემბერი

5-6. ფარიკაობა. საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.** ფარიკაობის დარბაზი.

5-6. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.** ფალავანთა კლუბი.

5-9. კალათბურთი. საქართველოს ვაჟთა 1992-1993 წ. წ. ეროვნული ჩემპიონატი. **თბილისი.** ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

11-18. ძიუდო. საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.** დიღმის ოლიმპიური რეზერვის სპორტული კომპლექსი.

10-15. კალათბურთი. საქართველოს ვაჟთა 1992-1993 წ. წ. ეროვნული ჩემპიონატი. **თბილისი.** ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

12-15. ცურვა. ფედერაციის თასის გათამაშება. **თბილისი.** ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი „ვერე“.

15-18. მხატვრული ტანვარჯიში. რესპუბლიკის ახალგაზრდული პირველობა. **თბილისი.** ისნის რაიონის სპორტსკოლის დარბაზი.

16-24. კალათბურთი. საქართველოს ქალთა 1992-1993 წ. წ. ეროვნული ჩემპიონატი, I ტური. **თბილისი.** ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლე.

18-19. ველოსპორტი. საქართველოს ჩემპიონატი ველოკროსში. **თბილისი.**

20-25. ტყვიის სროლა. საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.** „შევარდენის“ სპორტული კომპლექსი.

21-26. ფრენბურთი. საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის. **თბილისი.** ნაძალადევის რაიონის ბავშვთა სასპორტო სკოლის დარბაზი.

23-26. მშვილდოსნობა. საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.** სტუდქალაქის სტადიონი.

საქართველოს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებათა დეკემბრის კალენდარი.

3-5. სპორტული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი. **უნგრეთი.**

3-7. მაგიდის ჩოგბურთი. ბავშვთა ტრადიციული სპორტული ფესტივალი. **ბელგრადი.**

7-21. სპორტული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი. **პოლონეთი.**

23-30. სპორტული აკრობატიკა. საერთაშორისო ტურნირი. **მინსკი.**

კალენდარი მოგვაწოდა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულმა სამმართველომ.

ბოლო სტარტები

საქართველოს. ველოსიპედისტები სეზონის ბოლო შეჯიბრებებს ატარებენ. ამ დღეებში ჯვრის მონასტრის მიდამოებში გაიმართა ჭაბუკთა (1976-77 წ. წ. დაბადებულნი) რესპუბლიკური პირველობა სამთო რბოლაში. 3-კილომეტრიანი პროლოგი მოიგო „შევარდენის“ წარმომადგენელმა, რუსთაველმა მიხეილ მამაგულაშვილმა. მეორე-მესამე ადგილებზე ამავე საზოგადოების თბილისელი ველოსიპედისტები კონსტანტინე ჩიხლაძე და დიმიტრი შათირიშვილი გავიდნენ.

ჯვრის მონასტრიდან შეჯიბრების მონაწილეებმა თბილისის ზღვაზე გადაინაცვლეს და 50-კილომეტრიან წრიულ ტრასაზე მოსინჯეს ძალები. მამაგულაშვილი აქაც უძლიერესი იყო (1:14.26). მეორე ადგილზე გიორგი ქარელიძე („შევარდენი“) გავიდა, მესამეზე — დიმიტრი შათირიშვილი.

გაიმართა, აგრეთვე, საქართველოს ჩემპიონატი საგზატკეცილო ველოსპორტში მოზრდილთა და ჭაბუკებს შორის. ინდივიდუალურ რბოლაში 10 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით ყველას აჯობეს: მოზრდილებში აკაკი ზაბახიძემ („შევარდენი“, თბილისი) — 16.27,10, ჭაბუკებში — გიორგი ფრუიძემ („დინამო“, თბილისი) — 16.50,70.

დაყოფილი სტარტით მოასპარეზეებმა ძალები 15 კილომეტრიან დისტანციაზეც მოსინჯეს. აქ მოზრდილებში უძლიერესი ვალერი პაპკიაური („მართვე“, რუსთავი) იყო, ჭაბუკებში კი დიმიტრი შათირიშვილი.

პაპკიაურმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი კრიტერიუმში 12 წრეზე (48 კმ). მან დააგროვა 50 ქულა და დამაჯერებლად გაუსწრო ყველას. ჭაბუკებში 10-წრიანი რბოლა გიორგი ფრუიძემ მოიგო — 42 ქულა.

იარი კური — თვის ჰოკეისტი

ოტავა. ნჰლ-ს ჩემპიონატში ნოემბრის საუკეთესო ჰოკეისტის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდა სამი სპორტსმენი: მარკ რეკი („ფილადელფია ფლაიერზი“), პაველ ბურე („ვანკუვერი“) და იარი კური („ლოს-ანჯელეს კინგზი“). ხმების უმრავლესობით ლაურეატი გახდა ფინური წარმოშობის ამერიკელი იარი კური, რომელმაც ნოემბრის მატჩებში გაიტანა 13 შაიბა და 19 შედეგიანი პასი შეასრულა.

გაიმართა ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები: „პიტსბურგ პინგვინზი“ — „ნიუ-იორკ აილენდერზი“ 7:3, „ნიუ-ჯერსი დევილზი“ — „ტორონტო მეიპლ ლიფზი“ 8:3, „ლოს-ანჯელეს კინგზი“ — „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი“ 6:3, „ჰარტფორდ უეილერზი“ — „სენტ-ლუიზ ბლიუზი“ 4:8, „მინესოტა ნორტ სტარზი“ — „ოტავა სენატორზი“ 3:1.

დღეისათვის სატურნირო ცხრილებში ლიდერთა შორის არიან:

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„პატრიკის“ დივიზიონი				
„პიტსბურგი“	18	3	6	39
„ნიუ-იორკ დევილზ“.	13	0	10	26
„ნიუ-იორკ რეინჯ“.	11	3	10	25
„ადამსის“ დივიზიონი				
„მონრეალ კანად“.	17	3	6	37
„კვებეკი“	13	5	8	31
„ბოსტონი“	14	2	7	30
„ნორისის“ დივიზიონი“				
„მინესოტა“	14	3	9	31
„დეტროიტი“	14	1	11	29
„ჩიკაგო“	12	3	11	27
„სმაითის“ დივიზიონი“				
„ლოს-ანჯელესი“	17	2	7	36
„კალგარი“	14	2	9	30
„ვანკუვერი“	14	2	9	30

„ლელოს“ საახალწლო კონკურსი

გაზეთი „ლელო“ აცხადებს საახალწლო ელვისებურ კონკურსს საჭადრაკო ეტიუდების, ამოცანებისა და გამოცანების ამოხსნაში. აი ისინიც:



თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს



შამათი 2 სვლაში



შამათი 3 სვლაში



შამათი 4 სვლაში



ნადიშამათი 5 სვლაში. ორი ამოხსნა.



თვითშამათი 2 სვლაში

გამოცანა № 1. მეფემ e1-დან თავისი სვლებით უნდა მოიაროს ყველა 63 უჯრა და დაუბრუნდეს საწყის პოზიციას — e1-ს. მეფის მიერ გაკეთებული სვლები თანმიმდევრობით უნდა დაინომროს 1-დან 63-მდე, რის შემდეგ ცალკეულ ვერტიკალებზე (a, b, c, d, e, f, g, h), ჰორიზონტალებზე (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8) და დიაგონალებზე (a1—h8, a8—h1) დაფის უჯრებში ჩაწერილი ნუმერაციის შეკრებისას შესაკრებთა ჯამი ყველგან ერთი და იგივე უნდა იყოს.

გამოცანა № 2. ჭადრაკის დაფაზე მოათავსეთ 16 ლაზიერი ისე, რომ ყველა მიმართულებით — ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად, დიაგონალურად მხოლოდ 2-2 განლაგდნენ.

გამოცანა № 3. რამდენი მხედარი, კუ (ორივე ფერისა) და ლაზიერი იქნება საჭირო, რათა დაფის ყველა, 63 უჯრა აღმოჩნდეს დარტყმის ქვეშ?

პასუხების გამოგზავნის საბოლოო ვადაა 1992 წლის 20 დეკემბერი (საფოსტო შტემპელით) მისამართით: თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14, „ლელოს“ რედაქცია. „საახალწლო კონკურსი“.

კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მონაწილენი, რომლებიც ზუსტ პასუხს გასცემენ დღევანდელ „ლელოში“ დაბეჭდილ ყველა ეტიუდს, ამოცანას, გამოცანას.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან საქართველოს დიდოსტატების ავტოგრაფებიანი საჭადრაკო ლიტერატურით.

შედეგებს შეაჯამებს ჟიური.

გია გერმანაშვილი



ვინ იფიქრებდა, რომ ერთ წუთს მაინც გავძლებდით უერთმანეთოდ, მაგრამ უკვე ერთი წელია, რაც ჩვენს გვერდით არა ხარ, ტკივილითა და მოგონებებით სავსე ერთი წელი.

ამ ერთი წლის განმავლობაში ვერაზე დღე არ გავა, რომ არ მოგიგონონ. კაიკაცობაზე ჩამოვარდება სიტყვა და, გია გერმანაშვილი იყო ასეთი კაციო. ფეხბურთზე იტყვიან ორ სიტყვას და, თქვენ გიას ფეხბურთი უნდა გენახათო... მეგობრის, მოყვასის ერთგულებაზე გაუზიარებენ ერთმანეთს აზრს და... ეჰ, ცალგული იყო ჩვენი გერმანაო. გია მასწავლებელმა რომ გასწავლა, ისე დაარტყი, ბიჭოო, ხშირად გაიგონებ „პატარა ვერელის“ საფეხბურთო კლუბის აღსაზრდელებისაგან ვარჯიშის დროს.

შენც სწორედ აქ, „პატარა ვერელში“ აიდგი ფეხი, დიდ ფეხბურთსაც ეზიარე და მართლაც, შენი ცალგულობის დასტურად, ბოლოს მშობლიურ კლუბს მიაკითხე, ამჯერად პედაგოგობა არჩიე.

მაინც როგორ იტევდი ამდენ სითბოს, სიკეთესა და სათნოებას, რომ მხოლოდ 25 წელი დაგჭირდა, უამრავი ადამიანისათვის სამუდამოდ შეგეყვარებინა თავი.

მეგობრები

ინფორმაცია

● **ჯერ კაცმა** არ იცის, რა ბედი შეიძლება ეწიოს უნივერსიადებს, კანადის დედაქალაქმა ოტავამ კი საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელზე უკვე განაცხადი გააგზავნა 2001 წლის უნივერსიადის მასპინძლობის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ სტუდენტთა მომავალი თამაშები გაიმართება 1993 წელს — ბუფალოში, 1995 წელს — ფუკუოკაში, 1997 წელს — პალერმოსა და 1999 წელს — პალმა დი მალიორკაში.

● **შვეიცარიის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ეძებს სპონსორს, რომელიც შეძლებს 1 მილიონი ფრანკის გაღებას. ამისათვის მას საშუალება მიეცემა გამოიყენოს ფეხბურთელთა მასიური რეკლამისათვის. როგორც ფიქრობენ, სპონსორის პოვნა არ უნდა გაჭირდეს. მთავარია, მან არ წამოაყენოს მიუღებელი მოთხოვნები.

ვინ უფრო ხელგაშლილია?

ბარსელონაში ოლიმპიური თამაშებიდან შინ დაბრუნებულ ამერიკელ და ინგლისელ სპორტსმენებს (ლაპარაკია თამაშების ჩემპიონებსა და პრიზიორებზე) პრემიის ან წახალისების სახით გროშიც არ მიუღიათ. უფრო მეტიც, ამის თაობაზე არავითარი პირობა, წინასწარი შეთანხმება არ არსებულა. არადა, ყველა დანარჩენმა ქვეყანამ რაღაც დონით აღნიშნა თავისი წარმომადგენლების წარმატება მსოფლიო სპორტის ამ ყველაზე მნიშვნელოვან ფორუმზე.

ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს სიღარიბეს და ამით გამოწვეულ სიძუნწეს ვერ დავაბრალებთ. მით უფრო, რომ დიდ ბრიტანეთს პრემია გასაცემი ექნებოდა სულ რაღაც 20 პრიზიორზე — ხუთ ოლიმპიურ ჩემპიონზე, სამ ვერცხლისა და თორმეტ ბრინჯაოს მედალოსანზე. ამერიკელებთან დასაჯილდოებელ სპორტსმენთა რაოდენობა მეტია, ვინაიდან ამ ქვეყნის სპორტსმენებმა ბარსელონაში 37 ოქროს, 34 ვერცხლის და 37 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. მაგრამ, აშშ-ს ბიუჯეტს ეს ხარჯები, ვფიქრობთ, დიდ ტვირთად არ დააწვებოდა.

მაშ რაშია საქმე? რატომ გამოიჩინეს ასეთი, ერთი შეხედვით გაუგებარი სიძუნწე ბუნებით ხელგაშლილმა ამერიკელებმა (და ბრიტანელებმაც). პრესის განმარტებით ასეთ წამახალისებელ ნაბიჯებს სახელმწიფო არ მიმართავს იმიტომ, რომ სპორტსმენებს ისედაც საკმაოდ მაღალი შემოსავალი აქვთ. გარდა ამისა, ეს ქვეყნები ასე თუ ისე, მაინც „იცავენ“ ოლიმპიზმის იდეალებს და თამაშებში გამარჯვებას ფულადი ანაზღაურებით არ აღნიშნავენ. სხვათა შორის, არც ერთ ამერიკელ ან ბრიტანელ ოლიმპიელს, ამის გამო, უკმაყოფილება ან პროტესტი არ გამოუთქვამს. იმას, რაც მათ ოლიმპიადაზე დააკლდათ, ერთი ათად აინაზღაურებენ სხვა შეჯიბრებებში (ან თუნდაც მხოლოდ რეკლამების ხარჯზე).

ამ თემაზე საკმაოდ გულმოდგინედ იმუშავა გერმანულმა გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინემ“ და ოლიმპიური თამაშების შემდეგ პრემირებულ სპორტსმენთა ორიგინალური შკალა შექმნა ქვეყნების მიხედვით.

ესპანეთი. პრიზიორთა წარმატება ყველაზე გულუხვად ამ ქვეყანაში აღუნიშნავთ. ჩემპიონები დაჯილდოვდნენ 128 ათასი გერმანული მარკით (აქ და შემდგომში ყველგან პრემიების ოდენობა გერმანული მარკებით არის განსაზღვრული).

იტალია. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მიიღეს 100 ათასი მარკა თითოეულმა. ბრინჯაოს ჯილდო „ღირდა“ 33 ათასი.

საფრანგეთი. 74 ათასი მარკა პირველი ადგილისთვის, 24 ათასი — მესამისთვის.

გერმანია. ჩემპიონები დაჯილდოვდნენ 15 ათასი, ვერცხლის პრიზიორები — 10 ათასი, ბრინჯაოსი კი 7500 მარკით.

შვეიცარია. ჩემპიონებს 15 ათასი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ოლიმპიადაში გამარჯვებისთვის სპორტსმენებს მისცეს 30 ათასი მანეთი და 3 ათასი ამერიკული დოლარი.

ავსტრალია. 17 ათასი მარკა ჩემპიონებს.

ჩეხეთ-სლოვაკეთი. ჩემპიონებმა მიიღეს ავტომანქანა „შკოდა“.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

გაზეთ „ლელოს“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დამსახურებულ მწვრთნელს გურამ პაპიტაშვილს მეუღლის

ქრისტინე
შერმადინ-პაპიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის ძიუდოს ფედერაცია თანაუგრძნობს დამსახურებულ მწვრთნელს გურამ პაპიტაშვილს მეუღლის

ქრისტინე შერმადინის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელ.: 99-56-47, 99-81-71 ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში.

X1